არ დაწყევლოთ ის, ვფიცავ ალლაჰს, ჭეშმარიტად, მას ალლაჰი და მისი შუამავალი უყვარს

უმარ იბნ ალ-ხატტაბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომელმაც თქვა: მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) პერიოდში იყო ერთი კაცი სახელად აბდულლაჰ, მას ზედმეტსახელად ვირს ეძახდნენ, ის ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აცინებდა, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ის ბევრჯერ გაროზგა დასალევის გამო, ერთ დღეს მოიყვანეს ის, ბრძანა მისი გაროზგვა და გაროზგეს, იქ მყოფთაგან ერთმა კაცმა თქვა: ო, ალლაჰ დაწყევლე ის, რა ხშირად მოჰყავთ? მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ დაწყევლოთ ის, ვფიცავ ალლაჰს, ჭეშმარიტად, მას ალლაჰი და მისი შუამავალი უყვარს».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) პერიოდში იყო ერთი კაცი სახელად აბდულლაჰ, მას ზედმეტსახელად ვირს ეძახდნენ, ის ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხშირად აცინებდა თავისი საუბრით, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ის ბევრჯერ გაროზგა ღვინის დალევის გამო, ერთ დღეს მოიყვანეს ისევ მთვრალი, და ბრძანა მისი გაროზგვა და გაროზგეს. იქ მყოფთაგან ერთმა კაცმა გალანძღა ის და თქვა: ო, ალლაჰ, დაწყევლე ის, რა ხშირად მოჰყავთ ის ღვინით დამთვრალი? მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: არ დაწყევლოთ ის და არ ისურვოთ მისი ალლაჰის წყალობიდან გაძევება, ვფიცავ ალლაჰს, მას ალლაჰი და მისი შუამავალი უყვარს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66214